



სსიპ - საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალურ დირექტორს

ბატონ ნიკოლოზ ანთიძეს

სსიპ - საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციის
უფროსის დავით ტყეშელაშვილის

მოსხენებითი ბარათი


ბატონო ნიკოლოზ,

წარმოგიდგინებ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილის პაატა გაფრინდაშვილისა და ამავე სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციის თანამშრომლების, ნიკოლოზ ბაზუნიშვილისა და რევამ შეშვიას მივლინების ანგარიშს, 2021 წლის 18 იანვრიდან 23 იანვრის ჩათვლით პერიოდის მდგომარეობით, ტყიბულის მუნიციპალიტეტში, გელათის ღვთისმშობლის ტაძრისისა და მის ყელზე მოწყობილ დროებით გადახურვაზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

დანართი: ანგარიში ფოტომასალით 20 (ოცი) გვერდი.

პატივისცემით,

კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციის
უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტურულად 

დავით ტყეშელაშვილი

18.01.2021

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის 18 იანვრიდან 23 იანვრის ჩათვლით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები: პ. გაფრინდაშვილი, ნ. ზაზუნაშვილი და რ. შაშვიანი მივლინებულნი არიან ტყიბულის მუნიციპალიტეტში მდებარე გელათის სამონასტრო კომპლექსის ღმრთისმშობლის მთავარი ტაძრის დროებითი გადახურვის მოწყობის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების სამუშაოების საზედამხედველოდ.

მოგახსენებთ, რომ 18 იანვარს, ჩამოსულეხს, მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავის დროებითი გადახურვის ფრაგმენტი დაგვხვდა ქარისგან გადახდილი (გადაკეცილი). როგორც ჩანს, 18-ში, გამთენიისას, მომენტალურად წამობერილმა ქარმა გადახადა სახურავის ნაწილი. წამობერილმა იმიტომ, რომ არც მონასტრის ძმობას, არც ხელოსნებს და არც სოფლისმაცხოვრებლებს ძლიერი ქარის მიერ გამოწვეული ხმაური, ან სხვა რაიმე ნიშანი არ გაუგიათ. ჩვენს მიერ მყისიერად იქნაშესაბამისი ზომები მიღებული. მოხდა სამუშაო ძალის მობილიზება. ხარვეზის აღმოსაფხვრელად მოწვეულ იყვნენ სპეციალისტთა 4 კაციანი ჯგუფი, რომლებსაც სიმაღლეზე მუშაობის გამოცდილება აქვს. იმავე დღეს, საღამოს, დაიწყო დაზიანებული საბურველის მოხსნის სამუშაოები, რომელიც ნისლისადა თოვლიანი ნალექის გამო ვერ დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით ღამის 3 საათამდე მიმდინარეობდა საქმიანობა. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ პასტოფორიუმებზე უკვე დაწყებული დაგვხვდა არსებული დროებითი გადახურვის საფარის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელიც 20 იანვარს უკვე დასრულებული იყო.





19.01.2021

მიუხედავად რთული მეტეოროლოგიური პირობებისა, დასრულდა მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავის ქარისგან დაზიანებული ფრაგმენტის მოხსნის სამუშაოები. სააგენტოს ორგანიზებით, აღნიშნულ საქმის შესრულებაში დაგვეხმარა მოგზაურთა კლუბი თეთნულდის ალპინისტთა ჯგუფი, რომლებმაც დაასრულეს წინა დღისით დაწყებული სამუშაო.

დასრულდა სამხრეთ-აღმოსავლეთი პასტოფორიუმის დროებითი გადახურვის მოწყობა.





20.01.2021

მოიხსნა ჩრდილო-აღმოსავლეთი პასტოფორიუმის დროებითი გადახურვის თუნუქის საფარი, უკეთესი დაცვის მიზნით შეიცვალა გადახურვის გეომეტრია და დაიფარა გოფირებული თუნუქის საფარით. ამავე დღეს, გელათის სამონასტრო კომპლექსში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, დასავლეთი მკლავის დროებითი გადახურვის დაზიანებული ფრაგმენტის აღდგენის პროცესში ჩაერთო სპეც. ტექნიკა. აღნიშნული ტექნიკის დახმარებით მოხდა მასალის მიწოდება ხარაჩოზე. დასავლეთი მკლავის სიმაღლეზე ორგანიზებული წესით აიზიდა ხე-მასალა და თუნუქის საჭირო ოდენობის ფურცლები. კაუჩუკის საფენებზე მოეწყო ხოს კონსტრუქციული ფენილი, რომელზეც დამონტაჟდა მყარი გადახურვის საბურველი.

მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავის სამხრეთ ფერდზე დაფიქსირებული დაზიანების აღმოფხვრის თანმდევად, 20 იანვრის 10:30 სთ-ზე ღვთისმშობლის ტაძრის აღმოსავლეთის მხარეს მდებარე ეკვდერების აბსიდების კორექტირებული დროებითი გადახურვები შემოწმდა აღსრულების ეროვნული ბიუროს კონსტატატორთა ჯგუფის მიერ. კონსტატატორებმა შეამოწმეს საპარლამენტო კომიტეტის მიერ 15 იანვარს მოცემული რეკომენდაციების პირველი ეტაპის თანახმად 3 დღეში განსახორციელებელი სამუშაოების შესრულების ხარისხი.







21.01.2021

გარემო ზემოქმედებითი პირობებისაგან დაცვის მიზნით გელათის მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავზე რეაბილიტირებულ დროებით გადახურვის ფრაგმენტზე ფოლადის ბაგირით მოეწყო სამაგრი მექანიზმი. გადიჭიმა დროებითი კონსტრუქცია იმგვარად, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფილი იყოს მისი მდგრადობა.

ამავე დღეს, ეროვნული სააგენტოს ინსპექციის სამსახურის მიერ შემოწმდა ბაგრატის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძარი. ამწე კალათის მეშვეობით დათვალიერდა გუმბათის ყელის მიმდებარე არეალი, მკლავების გადახურვები, კედლების შეპირისპირებების მონაკვეთები, აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთით ე.წ. ლიფტის უჯრედის გადახურვის მდგომარეობა, სადაც ფიქსირდება წვიმისა და თოვლის ნალექის აქტიური ინფილტრაცია. სპეციალისტების მიერ შეფასდა ინტერიერის მდგომარეობაც. ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ შენობაში წყლის ჩადინება ხდება გუმბათის ყელის სარტყელის დონეზე, სადაც აღნიშნულ არქიტექტურულ ელემენტს არ აქვს საჭირო დახრის ქანობი. მისი დახრა გუმბათის ყელისკენაა მიმართული, რაც ინტერიერში ნალექის ინტენსიურ ჩადინებას იწვევს გუმბათის სარკმლების ქვედა ნიშნულზე. გამოვლინდა მეხამრიდის არასწორი მონტაჟის მეთოდოლოგია და სარკმლის მინის დამჭერების დეფორმაციები, რომელთა ამორტიზებული მდგომარეობა გუმბათის ყელის პერიმეტრის სხვადასხვა მონაკვეთებზე შესაძლოა წლის ჩადინების მიზეზად ჩაითვლოს. ბაგრატის ტაძარზე სპილენძის საფარი არასაკმარისადაა გადმოშვერილი, რის გამოც ცოკოლი სველდება ინტენსიურად. იმის გათვალისწინებით, რომ სახურავიქიმურად დამუშავებული სპილენძისაა, ნალექი რეცხავს და მწვანე ლაქებს უჩენს კედლებსა და ცოკოლის ქვებს. ნალექი აღწევს ინტერიერშიც, სადაც გამომარილებები


დაწყებულია საკურთხევლის აფსიდში, ჩრდილოეთ და სამხრეთ მკლავებში, და სხვა ადგილებშიც.















22.01.2021

გელათის სამონასტრო კომპლექსში დაიწყო ეკვდერების დონეზე, წყალგადამყვანი სადინარი არხების შესაცვლელად საჭირო ინვენტარული ხარაჩოს მოწყობა. დროებითი გადახურვის კონსტრუქციებზე გამოვლენილი ხარვეზების ახმოფხვრის მიზნით, ახალი შემსრულებელი კომპანიის მიერ სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე დასაწყობდა წყალგადამყვანი სისტემის ვერტიკალური და ჰორიზონტალური პროფილები, რომლის მონტაჟის პროცესი მტავარი ტაძრის ფასადებზე ხარაჩოების მოწყობის შემდგომ დაიწყება.



23.01.2021

დაიშალა მთავარი ტაძრის დასავლეთით გალავნის გასწვრივ მოწყობილი ინვენტარული ხარაჩო. მოხდა მისი ამოზიდვა და მოწყობა ღმრთისმშობლის ტაძრის სამხრეთით. წყალგადამყვანი სისტემის მოსაწყობად მოიხსნა სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერის შვერილი აფსიდის დროებითი გადახურვის საბურველი, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ პროექტით გათვალისწინებული კაუჩუკის საღებები ყველგან არ არის გამოყენებული აღნიშნულ ნაწილზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ვერტიკალური წვიმსადინრები პროექტის მიხედვით გათვალისწინებულ ადგილებში არაა მოწყობილი, თვითონ პროექტიც არ არის გააზრებულად გაკეთებული და არასწორი გადაწყვეტებია შემოთავაზებული. ადგილზეც და პროექტის მიხედვითაც, ვერტიკალური წყალსადინარები ჩამოდის და ჩერდება პირდაპირ ცოკოლთან. რაც იწვევს წვიმის წყლის დაგუბებას და საძირკვლებში ნალექის ინფილტრაციას. ამ მხრივ განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა აღმოსავლეთ ფასადთან და სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან. ინსპექტირების ჯგუფის მიერ შემსრულებელს მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული წვიმსადინრები შეუერთდეს სანიაღვრე არხს. არასწორადაა მოწყობილი მეხამრიდი სისტემაც, რომელიც პირდაპირ კედლის სიბრტყეზეა დამაგრებული კრონშტაინების გარეშე, რის გამოც ატმოსფერული ნალექი მოყვება და ასველებს კედელს. რამოდენიმე ადგილას ვერტიკალური წვიმსადინარიდან ჩამომავალი წყალი ჩაედინება ჰორიზონტალურ წყალსადინარში. ვინაიდან საპარლამენტო კომისიის მოთხოვნით, მთლიანად ახალი სისტემა ეწყობა, საჭიროა აღნიშნული ვერტიკალური წყალსადინრების ირიბი სამკაპებით მიერთება ქვედა დონეზე მოსაწყობ წყალგადამყვან მილებთან. აღნიშნული საკითხები უნდა იყოს გათვალისწინებული დროებითი გადახურვის მოწყობის კორექტირებულ პროექტში.

